

ქალების ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე:

სახელმძღვანელო პრაქტიკოსი იურისტებისათვის

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE
ევროპის საბჭო

ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE
ევროპის საბჭო

ქალების ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე: სახელმძღვანელო პრაქტიკოსი იურისტებისათვის

დოქტორი შაზია ჩონდრი,
სამართლის პროფესორი,
ლონდონის ქვინ მერის უნივერსიტეტი

2018 წლის ოქტომბერი

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია "მართლმსაჯულებაზე ქალების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ მოსამართლეებისა და პროკურორების ტრენინგ სახელმძღვანელოს" მიხედვით, ევროპის საბჭო, 2017 წლის სექტემბერი (ავტორები: ე.დუბანი და ი.რადაჩიჩი)

წინამდებარე დოკუმენტი შემუშავდა ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს მიერ ერთობლივად დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. მასში გამოხატული მოსაზრებები არ უნდა იქნას აღქმული, როგორც ევროკავშირის ან ევროპის საბჭოს ოფიციალური მოსაზრება.

წინამდებარე დოკუმენტის ან მისი ნაწილის რეპროდუქციასთან ან თარგმნასთან დაკავშირებით, გთხოვთ, მიმართოთ კომუნიკაციების დირექტორატს (F-67075 Strasbourg Cedex, ან publishing@coe.int), ხოლო დოკუმენტის შესახებ ნებისმიერი სხვა სახის კორესპონდენცია გთხოვთ, გაუგზავნოთ დემოკრატიის გენერალურ დირექტორატს.

დიზაინი: KIS Kyiv, Ukraine

სარჩევი

ზოგადი პრინციპები: რას ნიშნავს "მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა" ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებში? 5

სამართლებრივი/ინსტიტუციური დაბრკოლებები 6

სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული დაბრკოლებები 7

სამართლებრივი ჩარჩო. 8

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობისა და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე 10

ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით კერძო პირების პასუხისმგებლობის აღიარება 10

პოზიტიური ვალდებულებების დოქტრინის შემუშავება 11

სათანადო გულისხმიერების ვალდებულება (due diligence). 11

სამართლებრივი დაცვის საშუალებების ხელმისაწვდომობა 12

სრულყოფილი და ეფექტიანი გამოძიება 13

მომჩივნის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პატივისცემა 13

დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი 14

სტამბოლის კონვენცია და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა 16

სახელმძღვანელო პრინციპები სპეციალისტებისათვის, ძალადობის მსხვერპლთა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ 18

სასამართლოს წინაშე წარდგომის უფლება (locus standi) 18

საწყისი პროცედურული საკითხები და გამოძიება. 20

მტკიცებულებებთან დაკავშირებული საკითხები 23

საქმის თეორია და სამართლებრივი არგუმენტები. 29

სამართლებრივი დაცვის საშუალებები 29

სასჯელის დანიშვნა 32

რისკის შეფასება 34

საქმის გენდერულად მგრძნობიარე წარმოება და სასამართლო დარბაზის მართვა 34

უსაფრთხოების საკითხები და რისკის მართვა. 34

შეხვედრების დაგეგმვა და სასამართლოში არსებული გარემო . . . 38

მსხვერპლის ინფორმირება თავისი უფლებებისა და არსებული მხარდაჭერის სერვისების შესახებ. 38

ურთიერთობა მოწმეებთან და მხარეებთან 40

ქალები, როგორც ძალადობის მსხვერპლები *40*
ძალადობის მოწმე ბავშვები *40*
ქალები და დისკრიმინაცია მრავალი ნიშნის მიხედვით *40*
გენდერული მიკერძოება სამართალწარმოების პროცესში *42*
ექსპერტთა როლი და "სასამართლოს მეგობარი" (amicus curiae) 43
დავების ალტერნატიული გადაწყვეტა 44

ბიბლიოგრაფია 46

1 ზოგადი პრინციპები: რას ნიშნავს "მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა" ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებში?

მართლმსაჯულებაზე ეფექტიანი ხელმისაწვდომობა ძირითად უფლებას წარმოადგენს, რომელსაც ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემაში არაერთი ინსტრუმენტი ითვალისწინებს. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის ვალდებულება და ქალებსა და მამაკაცებს შორის დე-ფაქტო თანასწორობის მიღწევა აღნიშნული უფლების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა ჩამოაყალიბა მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ექვსი ურთიერთდაკავშირებული ელემენტი, რომელსაც გადამწყვეტი მნიშნელობა აქვს გენდერულად მგრძნობიარე მართლმსაჯულების სისტემისათვის .[1] ეს ელემენტებია: სასამართლოს წესით აღსრულების შესაძლებლობა, არსებობა, ხელმისაწვდომობა, კარგი ხარისხი, ანგარიშვალდებულება და მსხვერპლთათვის დაცვის საშუალებების უზრუნველყოფა.

ქალთა მიმართ ძალადობის კუთხით, ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოებმა სხვადასხვა ღონისძიებები უნდა განახორციელონ, მათ შორის:

- ეროვნულ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა, რათა ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევები სათანადოდ განისაზღვროს, როგორც სისხლის სამართლის დანაშაულები;

1 იხ. გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია N33, 2015 წლის 23 ივლისი, CEDAW/C/GC/33.

- გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის სათანადო პროცედურების უზრუნველყოფა;
- ეფექტიანი სამართლებრივი დაცვისა და დარღვეული უფლების აღდგენის (რეპარაციის) მექანიზმებზე წვდომის უზრუნველყოფა.

ქალები, ასევე, აწყდებიან სხვადასხვა დაბრკოლებებს მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის კუთხით, სამართლებრივი სისტემის ფარგლებში და მის ფარგლებს გარეთ. მართლსმაჯულებაზე ეფექტური ხელმისაწვდომობისთვის საჭიროა ამ დაბრკოლებების გადალახვა.[2] არსებობს დაბრკოლებების ორი კატეგორია:

სამართლებრივი/ინსტიტუციური დაბრკოლებები

- დისკრიმინაციული ან არატოლერანტული სამართლებრივი ჩარჩოები, როგორიცაა: აშკარად დისკრიმინაციული სამართლებრივი დებულებები; გენდერულად "ბრმა" დებულებები, რომელიც არ ითვალისწინებს ქალთა სოციალურ მდგომარეობას და კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზებს იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ქალებზე არაპროპორციულ გავლენას ახდენს.
- კანონმდებლობის პრობლემური ინტერპრეტაცია და აღსრულება, რაც ქალებს დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებს;
- არაეფექტიანი ან პრობლემური სამართლებრივი პროცედურები, მაგალითად, გენდერულად მგრძნობიარე პროცედურების არარსებობა სამართლებრივ სისტემაში;
- ანგარიშვალდებულების არაეფექტიანი მექანიზმები (კორუფციის ჩათვლით);
- ქალთა ნაკლებობა სამართლის სპეციალისტებს შორის;
- გენდერული სტერეოტიპებისა და მიკერძოების არსებობა მართლმსაჯულების განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებს შორის.

2 იხ. ევროპის საბჭოს 2014-2017 წლების გენდერული თანასწორობის სტრატეგია, სტრატეგიული ამოცანა 3: მართლმსაჯულებაზე ქალების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული დაბრკოლებები

- სამართლებრივი უფლებებისა და პროცედურების შესახებ ან სამართლებრივ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის შესახებ ცნობიერების ნაკლებობა, რაც შესაძლოა მომდინარეობდეს განათლების დონეების, ინფორმაციაზე წვდომისა და ა.შ. კუთხით არსებული გენდერული განსხვავებებიდან;
- ფინანსური რესურსების ნაკლებობა, მათ შორის სამართლებრივი წარმომადგენლობის ღირებულება, იურიდიული მომსახურების გადასახადი, სასამართლო ბაჟი, სასამართლომდე ტრანსპორტის ღირებულება, ბავშვის მოვლასთან დაკავშირებული ხარჯები და ა.შ.
- ოჯახში მოვალეობების არათანაბარი გადანაწილება;
- გენდერული სტერეოტიპები და კულტურული დამოკიდებულებები.

2 სამართლებრივი ჩარჩო

თანასწორობა საერთაშორისო კანონმდებლობის ფუძემდებლურ ღირებულებას წარმოადგენს. ადამიანის უფლებების ყველა ძირითადი ხელშეკრულება შეიცავს დისკრიმინაციის აკრძალვას სქესის ან გენდერის ნიშნით, როგორც დოკუმენტში წარმოდგენილი უფლებებით სარგებლობის მხრივ, ისე ცალკე მდგომი ნორმის სახით. ქალებისათვის მართლმსაჯულებაზე თანასწორი ხელმისაწვდომობის გარანტია ერთ-ერთია იმ ექვსი პრიორიტეტული თემიდან, რომელსაც ევროპის საბჭოს გენდერული თანასწორობის სტრატეგია (2018-2023წწ.) ითვალისწინებს. გენდერული თანასწორობის სტანდარტები, რომელიც მართლმსაჯულებაზე ქალების ხელმისაწვდომობას უკავშირდება, სხვადასხვა სტანდარტებშია წარმოდგენილი და მათ მოიცავს ევროპის საბჭოს ოთხი ძირითადი ხელშეკრულება:

1. *ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და კონვენციის მე-12 ოქმი.* მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია გენდერულად ნეიტრალური ინსტრუმენტია, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ქალთა უფლებებზე დაადგინა იურისდიქცია , მათ შორის ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით (იხ. სექცია C) და ასევე, განსაზღვრა მართლმსაჯულებაზე ქალების ხელმისაწვდომობის რამდენიმე მნიშვნელოვანი პრინციპი. ოქმი ითვალისწინებს დისკრიმინაციის ზოგად აკრძალვას ნებისმიერი ნიშნით - მაგალითად, სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონების, დაბადების ან სხვა ნიშნით, რითაც აფართოვებს კონვენციის მე-14 მუხლის რეგულირების სფეროს.

2. *ევროპის სოციალური ქარტია* ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საპირწონე ინსტრუმენტია ეკონომიკური და სოციალური უფლებების სფეროში. ქარტია, რომელიც გადაისინჯა 1996 წელს, უზრუნველყოფს საცხოვრისის უფლებით, ჯანმრთელობის, განათლების, დასაქმების, სამართლებრივი და სოციალური დაცვისა და გადაადგილების უფლებებით სარგებლობას, ნებისმიერი

ნიშნით, მათ შორის, სქესის საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე. სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტი (ECSR) ახორციელებს წევრი სახელმწიფოების მიერ ქარტიით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს, ანგარიშგების სისტემისა და კოლექტიური საჩივრების პროცედურის საშუალებით.

3. *ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კონვენციას* გააჩნია მოქმედების მრავალმხრივი სფერო, რომელიც მოიცავს სექსუალური, შრომითი ან სხვა ტიპის ექსპლუატაციის მიზნით ქალებით, მამაკაცებითა და ბავშვებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენციას და მასთან ბრძოლას და, ასევე, ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვასა და ტრეფიკინგის დანაშაულის ჩამდენთა სისხლისსამართლებრივ დევნას. კონვენცია ითვალისწინებს დისკრიმინაციის აკრძალვასა და წევრ სახელმწიფოთა მოვალეობას, ხელი შეუწყონ გენდერულ თანასწორობას და გამოიყენონ გენდერული მეინსტრიმინგი კონვენციის განხორციელებისკენ მიმართული ზომების შემუშავებაში, განხორციელებასა და შეფასებაში (მუხლი 3). მონიტორინგის დამოუკიდებელი მექანიზმი აფასებს სახელმწიფოების მიერ კონვენციის დებულებების პრაქტიკაში განხორციელებას. . მონიტორინგის მექანიზმი ორი ძირითადი ელემენტისგან შედგება: ადამიანებით უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით შექმნილი ექსპერტთა ჯგუფი (GRETA) და მხარეთა კომიტეტი.

4. *ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (სტამბოლის კონვენცია)* ფართომასშტაბიანი და კომპლექსური ხელშეკრულებაა ადამიანის უფლებების, გენდერული დისკრიმინაციისა და სისხლის სამართლებრივი კანონმდებლობის შესახებ. სტამბოლის კონვენცია ითვალისწინებს მინიმალურ სტანდარტებს, რომელთა განხორციელებაც მოეთხოვებათ წევრ სახელმწიფოებს ქალთა მიმართ ძალადობასა და ოჯახში ძალადობაზე ეფექტიანი რეაგირების კუთხით. სტამბოლის კონვენციის მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც კონვენციის იმპლემენტაციის შეფასებას ისახავს მიზნად, შედგება ორი ინსტრუმენტისგან: ექსპერტთა დამოუკიდებელი ჯგუფი ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ (GREVIO) და მხარეთა კომიტეტი.

3 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობისა და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ბოლოდროინდელ პრეცედენტულ სამართალში ნათლად ჩანს ის ბარიერები, რომელსაც ქალები აწყდებიან მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის კუთხით. მასში წარმოდგენილია სასამართლოს მიერ ფორმულირებული სტანდარტები, განსაკუთრებით კი ქალთა მიმართ ძალადობის კუთხით.

ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით კერძო პირების პასუხისმგებლობის აღიარება

სასამართლომ მნიშვენლოვნად გაზარდა ქალების წვდომა მართლმსაჯულებაზე იმის აღიარებით, რომ კერძო პირების მიერ ჩადენილი ქალთა მიმართ ძალადობა წარმოადგენს კონვენციით დაცული კონკრეტული უფლებების დარღვევას (სიცოცხლის უფლება - მაგ. *Kontrova v.Slovakia* (2007); *Talpis v.Italy* (2017) და წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის აკრძალვა - მაგ. *E.and S.and Others v.Slovakia* (2009) და *Balsan v.Romania* (2017)).

პოზიტიური ვალდებულებების დოქტრინის შემუშავება

დოქტრინა ვრცელდება კერძო პირების ან ხელისუფლების წარმომადგენელთა ქმედებებზე და ქალთა მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმებზე. სასამართლომ დაადგინა სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველყოს სექსუალური ძალადობის (*M.C.v.Bulgaria* (2003)), ოჯახში ძალადობის (*Opuz v.Turkey* (2009)), სხეულის განზრახ დაზიანების (*Sandra Jankovic v.Croatia* (2009)) და ადამიანების ტრეფიკინგის (*Rantsev v.Cyprus and Russia* (2010)) სისხლის სამართლებრივი წესით დასჯა.

სათანადო გულისხმიერების ვალდებულება (due diligence)

სათანადო გულისხმიერების პრინციპი ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოები ვალდებულები არიან, უზრუნველყონ ადამიანის უფლებათა დარღვევების გამოძიება, სისხლისსამართლებრივი დევნა და დასჯა, იმის მიუხედავად, თუ ვინ არის ძალადობის ჩამდენი - სახელმწიფო, თუ ფიზიკური პირი. საქმეში *X and Y v.the Netherlands* (1985) სასამართლომ დაადგინა, რომ პოზიტიური ვალდებულებების ფარგლებში სახელმწიფოს ეკისრება არამხოლოდ უფლებების დარღვევისგან თავის შეკავება, არამედ, პროაქტიული ვალდებულება, უზრუნველყოს ფიზიკურ პირთა უფლებების სხვა პირების მიერ დარღვევისგან დაცვა (პ.23). საქმეში *M.C.v.Bulgaria* (2003), სასამართლომ დაადგინა, რომ უფლებების დაცვის ვალდებულება ასევე, მოიცავს სახელმწიფოს ვალდებულებას, ჩაატაროს ოფიციალური გამოძიება და ეფექტიანად დასაჯოს გაუპატიურება (პუნქტები 149-53).

საქმეში *Maslova v Russia* (2009), სასამართლომ დაადგინა, რომ "გაუპატიურება მსხვერპლისათვის აშკარად დამამცირებელი დანაშაულია და, შესაბამისად, ხაზს უსვამს პროცედურულ ვალდებულებას, რომელიც ეკისრება სახელმწიფოს ამ კონტექსტში" (პ.91). ეფექტიანი ოფიციალური გამოძიების შედეგად შესაძლებელი უნდა იქნას პასუხისმგებელ პირთა გამოვლენა და დასჯა. მინიმალური სტანდარტები ეფექტიანობასთან დაკავშირებით განმარტებულია სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში დაითვალისწინებს მოთხოვნას

იმასთან დაკავშირებით, რომ გამოძიება იყოს "**დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი** და **გამჭვირვალე** , ხოლო კომპეტენტური ხელისუფლება უნდა მოქმედებდეს **სამაგალითო მონდომებითა და სისწრაფით**" (პ.91).

სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენლებს ეკისრებათ პოზიტიური მოვალეობა, მიიღონ დამცავი ზომები ოჯახში ძალადობის თავიდან აცილებისთვის, იმ შემთხვევაში, როდესაც ხელისუფლებამ "იცოდა ან უნდა სცოდნოდა", რომ პირის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას ემუქრებოდა "რეალური და პირდაპირი საფრთხე" (იხ. *Kontrova v.Slovakia* (2007), *Opuz v Turkey* (2009) და *Hajduova v.Slovakia* (2010)). ხელისუფლების წარმომადგენლები ვალდებულები არიან, განახორციელონ ინტერვენცია იმ შემთხვევაშიც, თუ პოტენციური აგრესორისგან საფრთხის მატერიალიზება ჯერ კიდევ არ მომხდარა ფიზიკური ძალადობის სახით (*Hajduova*). ხელისუფლების წარმომადგენლებს უფლება აქვთ, განახორციელონ საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა (ex officio), ზოგჯერ, მსხვერპლის სურვილის საწინააღმდეგოდაც კი (*Hajduova*). გარკვეულ შემთხვევებში, გადაუდებელი სიტუაციის არსებობისას, შესაძლებელია დროებითი დამცავი ზომების მიღება (*Bevacqua and S.v.Bulgaria* (2008)).

სამართლებრივი დაცვის საშუალებების ხელმისაწვდომობა

სამართლებრივი დაცვის საშუალებები უნდა იყოს ხელმისაწვდომი და ეფექტიანი. საქმე *Airey v.Ireland* (1979) ნათლად ადასტურებს, რომ სამართლებრივი დაცვის საშუალებები, რომლებიც ოჯახში ძალადობის მსხვერპლს საშუალებას აძლევს, თავი დააღწიოს ძალადობას, მათ შორის, განქორწინების ან გაცილების წარმოების საფუძველზე, ხელმისაწვდომი და ეფექტიანი უნდა იყოს იმისათვის, რომ მოწყველად მდგომარეობაში მყოფი მსხვერპლი უზრუნველყოფილი იქნას **პრაქტიკული** (და არა თეორიული ან ილუზიური) დაცვით. ამგვარი ეფექტიანი წვდომა, შესაძლოა, საჭიროებდეს იურიდიულ დახმარებას საქმის კომპლექსურობის გამო, იმის გამო, რომ მსხვერპლი არ იცნობს სასამართლო წარმოებას ან მსხვერპლს არ აქვს შესაძლებლობა იმისა, რომ

თავად უზრუნველყოს საკუთარი თავის წარმომადგენლობა, ემოციური მდგომარეობის გამო.

სრულყოფილი და ეფექტიანი გამოძიება

საქმეში *Aydin v.Turkey* (1996), სასამართლომ დაადგინა, რომ გაუპატიურების მსხვერპლთა სამედიცინო შემოწმება უნდა ჩაატაროს ექიმმა, რომელსაც ასეთ მსხვერპლებთან მუშაობის გამოცდილება აქვს.

პროკურორის მიერ გამოძიების წარმოების მიზანია დადგენა იმისა, არის თუ არა მომჩივანი გაუპატიურების მსხვერპლი და არა იმისა, დაკარგა თუ არა მან ქალიშვილობა.

სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ მე-3 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები მხოლოდ სახელმწიფო მოხელეებზე არ ვრცელდება, რადგან "სახელმწიფოებს ეკისრებათ პოზიტიური ვალდებულება, რომელიც მომდინარეობს კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლებიდან, რომ მოახდინონ სისხლის სამართლის ისეთი დებულებების მიღება, რომელიც უზრუნველყოფს გაუპატიურების ეფექტიანად დასჯას და ეს დებულებები პრაქტიკაში განახორციელონ ეფექტიანი გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის საშუალებით." ძალის გამოყენების ან მუქარის მტკიცებულების მოთხოვნა გაუპატიურების დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების წინაპირობად წარმოადგენს მე-3 და მე-8 მუხლების დარღვევას (*M.C.v.Bulgaria* (2004), პ.153).

მომჩივნის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პატივისცემა

გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის მიმდინარეობისას აუცილებელი მოთხოვნაა მომჩივნის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პატივისცემა. აღიარებულია, რომ ქალი მსხვერპლები, განსაკუთრებით სექსუალური ძალადობის შემთხვევაში, ხშირად, სისხლისსამართლებრივ წარმოებას აღიქვამენ, როგორც დამატებით ტრავმას, განსაკუთრებით თუ ქალი იძულებულია, რომ პირდაპირ დაუპირისპირდეს აგრესორს, საკუთარი ნების წინააღმდეგ (*Y.v.Slovenia* (2015)).

დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი

აღნიშნული პრინციპი კონვენციის ძირითად პრინციპს წარმოადგენს, რაც მოიცავს დისკრიმინაციის აკრძალვას მართლმსაჯულებაზე და სამართლებრივი დაცვის საშუალებებზე ხელმისაწვდომობის კუთხით. საქმეში *Opuz v.Turkey* (2009), სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის მიერ განცდილი ოჯახში ძალადობა "შესაძლოა მიჩნეულ იქნას გენდერზე დაფუძნებულ ძალადობად, რაც წარმოადგენს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ფორმას."[3] სასამართლომ დაადგინა, რომ:

> '[...]სავარაუდო დისკრიმინაცია, რომელიც განიხილება მოცემულ საქმეში არ ეფუძნებოდა კანონმდებლობას per se, არამედ უფრო გამომდინარეობდა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ზოგადი დამოკიდებულებიდან, იქედან, თუ როგორ ეპყრობოდნენ პოლიციის განყოფილებებში ქალებს, რომლებსაც შეჰქონდათ განცხადება ოჯახში ძალადობის შესახებ, ისევე როგორც სასამართლოს პასიურობუდან მსხვერპლთა ეფექტიანად დაცვის კუთხით." (პ.192)

სასამართლომ დაადგინა:

> "იმის გათვალისწინებით, რომ მართალია არამიზანმიმართულად, მაგრამ მაინც, თურქეთის მართლმსაჯულების სისტემაში არსებობდა ზოგადი და დისკრიმინაციული პასიურობა, რომელსაც უპირატესი გავლენა ჰქონდა ქალებზე, სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივანისა და მისი დედის მიერ განცდილი ძალადობა შესაძლოა მიჩნეულ იქნას სქესზე დაფუძნებულ ძალადობად, რაც წარმოადგენს ქალთა დისკრიმინაციის ფორმას. მიუხედავად ბოლო წლებში მთავრობის მიერ განხორციელებული რეფორმებისა, მოძალადეების მიმართ მართლმსაჯულების სისტემის ზოგადად რეაგირების ნაკლებობა და დაუსჯელობა, როგორც ეს დადასტურდა მოცემულ საქმეშიც, ცხადყოფდა, რომ არ არსებობდა საკმარისი ძალისხმევა ოჯახში ძალადობასთან საბრძოლველად სათანადო ზომების მისაღებად." (პ.200)

---

3 ECtHR, Opuz v. Turkey, განაცხადი No. 33401/02, 2009 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება, პ.200. აღსანიშნავია, რომ სასამართლოს მიერ ამ საქმეში ინიცირებული მიდგომა ოჯახში ძალადობის სხვა არაერთ საქმეში იქნა გამოყენებული.

დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპს განამტკიცებს, ასევე, საქმე *Eremia and Others v.the Republic of Moldova* (2013):

> '[...] ხელისუფლების მოქმედებები არ წარმოადგენს მხოლოდ პირველი მომჩივნის მიმართ განხორციელებულ ძალადობაზე რეაგირების ნაკლებობას ან დაგვიანებას, არამედ, ამ ძალადობის მრავალჯერ შეწყნარებას, რაც ასახავდა დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას პირველი მომჩივნის მიმართ, რომელიც ქალია. ქალთა მიმართ ძალადობის, მისი გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის დასკვნა [...] მხოლოდ ამყარებს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ხელისუფლება ვერ აფასებს ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული პრობლემის სერიოზულობასა და მასშტაბებს და მის უარყოფით გავლენას ქალებზე." (§.89)

იგივე მიდგომა გამოიყენა სასამართლომ საქმეებში *Mudric v.the Republic of Moldova* (2013); *B.v.the Republic of Moldova* (2013); და *N.A.v.the Republic of Moldova* (2013). თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში არ მოიპოვება მითითება იმის შესახებ, რომ სექსუალური ძალადობა სქესის ნიშნით დისკრიმინაციას წარმოადგენს. თუმცა, პრეცედენტული სამართალი შესაძლოა, განვითარდეს ამ მიმართულებით, რადგან სასამართლო სულ უფრო და უფრო მეტად ითვალისწინებს სტამბოლის კონვენციას, რომელიც ქალთა მიმართ ძალადობას აღიარებს, როგორც ქალთა დისკრიმინაციის ფორმას (მუხლი 3).

4 სტამბოლის კონვენცია და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ოჯახში ძალადობის საქმეებში განვითარებული სტანდარტები ამჟამად ინტეგრირებულია სტამბოლის კონვენციაში და მათ იურიდიულად სავალდებულო ძალა გააჩნია. სტამბოლის კონვენცია შეიცავს არაერთ დებულებას, რომლის მიზანია გენდერის ნიშნით ძალადობის მსხვერპლთათვის მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა. კერძოდ, კონვენციის თანხმად, სახელმწიფო მხარეებს მოეთხოვებათ :

- უზრუნველყონ მსხვერპლთა უფლებების დამცავი ზომების მიღება ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე (მუხლი 4)
- გამოიჩინონ სათანადო გულისხმიერება ძალადობის შემთხვევების პრევენციის, გამოძიების, დასჯისა და კომპენსაციის უზრუნველყოფის მიზნით (მუხლი 5)
- მიიღონ ზომები სოციალურ და კულტურულ მოდელებში გენდერული სტერეოტიპების აღმოსაფხვრელად (მუხლი 12)
- უზრუნველყონ ოჯახში ძალადობის მსხვერპლებთან მომუშავე პროფესიონალთა ადეკვატური ტრენინგი მსხვერპლთა საჭიროებების, მათი უფლებებისა და თანასწორობის შესახებ (მუხლი 15)
- უზრუნველყონ შესაბამისი სამართლებრივი ინფორმაციის მიწოდება (მუხლი 19)
- ხელი შეუწყონ [ძალადობის შესახებ სათანადო ორგანოებისთვის] მიმართვიანობას (მუხლი 27)
- მსხვერპლები უზრუნველყონ სათანადო სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვის საშუალებებით (მუხლი 29) და კომპენსაციით (მუხლი 30)

- უზრუნველყონ, რომ ქალთა მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმები ექვემდებარებოდეს სისხლისსამართლებრივ ან სხვა სახის სამართლებრივ სანქციებს (მუხლი 33-40)
- უზრუნველყონ, რომ გამოძიება და სასამართლო საქმის წარმოება ხორციელდება გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე (მუხლი 49), ხოლო პროკურორებს გააჩნიათ უფლებამოსილება, გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა აწარმოონ იმ შემთხვევაშიც, თუ მსხვერპლი უკან გაიხმობს საჩივარს (მუხლი 55)
- უზრუნველყონ, რომ მტკიცებულება, რომელიც ეხება მსხვერპლის სქესობრივი ცხოვრების ისტორიას და სქესობრივ ქცევას, დასაშვები იყოს მხოლოდ მაშინ, თუ ეს რელევანტური და არსებითია საქმისთვის (მუხლი 54)
- უზრუნველყონ დავების მოგვარებასთან დაკავშირებული სავალდებულო სახის ალტერნატიული პროცესების ან სასჯელის შეფარდების, მედიაციისა და მორიგების აკრძალვა (მუხლი 48)
- უზრუნველყონ გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ნებისმიერ ეტაპზე მსხვერპლთა დაცვა (მუხლი 56).
- მსხვერპლთათვის უზრუნველყონ სამართლებრივი მხარდაჭერა და უფასო იურიდიული დახმარება (მუხლი 57).

ამრიგად, სტამბოლის კონვენციის სტანდარტები წარმოადგენს მართლმსაჯულებაზე ქალების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ძირითად ელემენტს. ზემოაღნიშნული პრინციპები და სტანდარტები იმ შემთხვევებზეც ვრცელდება, რომელიც ქალთა მიმართ ძალადობას არ უკავშირდება - კერძოდ, დასაქმება და საოჯახო სფერო.

5 სახელმძღვანელო პრინციპები სპეციალისტებისათვის, ძალადობის მსხვერპლთა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ

მართლმსაჯულებაზე ქალების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, სამართლის სპეციალისტებმა მუშაობის პროცესში უნდა გამოიყენონ გენდერულად მგრძნობიარე მიდგომა და კანონის ინტერპრეტაცია უნდა მოახდინონ თანასწორობასა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული არსებითი ცნებების შესაბამისად. პროკურორებმა და მოსამართლეებმა პროაქტიული მიდგომა უნდა გამოიყენონ იმ ბარიერების აღმოსაფხვრელად, რომელსაც ქალები აწყდებიან მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის კუთხით, ოჯახში ძალადობის შემთხვევებში. ქვემოთ წარმოდგენილი კარგი პრაქტიკის მაგალითები და პრინციპები გენდერულად მგრძნობიარე მართლმსაჯულების სისტემის ძირითადი კომპონენტებია. სამართლის სპეციალისტებმა შესაბამის საქმეებზე მუშაობისას აღნიშნული პრინციპებით უნდა იხელმძღვანელონ.

სასამართლოს წინაშე წარდგომის უფლება (locus standi)

სისხლის სამართლის საქმეებში და კერძოდ, ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებში მსხვერპლები მონაწილეობენ სასამართლო პროცესში, ბრალდების მხარის მოწმის სტატუსით.

დისკრიმინაციის გავრცელებულ ფორმებთან ბრძოლის საშუალებას წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და თანასწორობის ორგანოებისათვის დისკრიმინაციის საქმეების ინიცირების უფლებამოსილების მინიჭება იმ შემთხვევაში, როდესაც მსხვერპლს არ სურს სარჩელის აღძვრა ან არ არსებობს კონკრეტული მსხვერპლი (მაგალითად, სექსისტური ან დისკრიმინაციული რეკლამის შემთხვევაში).

კარგი პრაქტიკის მაგალითი: ევროკავშირის 2012/29/EU (2012) დირექტივა ადგენს მინიმალურ სტანდარტებს დანაშაულის მსხვერპლთა უფლებების, მათი მხარდაჭერისა და დაცვის შესახებ და იმ უფლებების იდენტიფიცრებას ახდენს, რომელიც ენიჭებათ დაზარალებულებს, რომლებსაც სისხლის სამართლის პროცესში ფორმალური როლი აქვთ, ევროკავშირის თითოეულ ქვეყანაში. ქვემოთ წარმოდგენილი უფლებები განსაკუთრებით რელევანტურია ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის: მსხვერპლს უნდა ჰქონდეს უფლება, რომ მოუსმინონ მას და წარადგინოს მტკიცებულება; გაეცნოს გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც პროკურატურა არ განახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას (ეს განსაკუთრებით ეხება პროკურატურის გადაწყვეტილებას, შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა ან გამოძიება); მიიღოს ინფორმაცია საქმის მსვლელობის შესახებ (ინფორმაცია საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების ან წინასწარი პატიმრობის შეფარდების შესახებ) და იმის შესახებ, თუ მოძალადე გათავისუფლდა ან გაიქცა პატიმრობიდან, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოჯახში ძალადობის შემთხვევებში. დირექტივის პრაქტიკაში განხორციელების სახელმძღვანელო მკაფიოდ ადგენს პროკურორებისა და მოსამართლეების ვალდებულებას, მსხვერპლებს თავიანთი უფლებები განუმარტონ. ევროკავშირის არა-წევრ ქვეყნებში, სისხლის სამართლის დანაშაულის მსხვერპლს გარკვეულ უფლებებს ანიჭებს ეროვნული კანონმდებლობა. შესაბამისად, სამართლის სპეციალისტებმა უნდა უზრუნველყონ აღნიშნული უფლებების დაცვა.

ამასთან, არაერთ ქვეყანაში ქალების მხარდამჭერ ორგანიზაციებს უფლება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ ოჯახში ძალადობასთან ან სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებით აღძრულ საქმის

წარმოებაში, როგორც არა-სამართლებრივმა წარმომადგენლებმა, რომლებიც მსხვერპლს მხარდაჭერას უწევს, მათ შორის, წინა-სასამართლო სხდომებსა და სასამართლოზე მსხვერპლის გვერდით ყოფნის გზით. აღნიშნული სტამბოლის კონვენციის რეკომენდაციასაც წარმოადგენს (55-ე მუხლის მეორე პუნქტი).

ევროპის სოციალური ქარტიის დამატებითი ოქმის თანახმად, სახელმწიფო მხარეებს შეუძლიათ აღიარონ შესაბამისი ორგანიზაციების უფლება, აღძრან კოლექტიური საჩივარი.

საწყისი პროცედურული საკითხები და გამოძიება

<u>პროკურორები</u> - პროკურორებმა გამოძიების დროს უნდა გაითვალისწინონ შემდეგი ძირითადი საკითხები:

- პროკურორს უნდა შეეძლოს შეხვედრების დროს საფრთხის/**ნიშნების ამოცნობა** და მსხვერპლის მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება. პროკურორმა მსხვერპლს უნდა ჰკითხოს, ხომ არ სურს, რომ მის საქმეზე იმუშაოს ქალმა პროკურორმა, ხოლო გამოკითხვას ესწრებოდეს ქალი ოფიცერი, მისი ოჯახის წევრი, მეგობარი ან არა-სამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი;
- **პროკურორმა უნდა უხელმძღვანელოს გამოძიებისა და მტკიცებულების შეგროვების პროცესის კანონიერებას** და მონიტორინგი გაუწიოს გამომძიებელთა საქმიანობას, რათა მათ იმუშაონ სრულყოფილად, ადამიანის უფლებათა სტანდარტების დაცვით, იმისათვის, რომ სასამართლო პროცესზე მხოლოდ მსხვერპლის/მოწმის ჩვენება არ იყოს ერთადერთი მტკიცებულება. პროკურორები კონსტრუქციულად უნდა თანამშრომლობდნენ პოლიციასთან და მათ უნდა აწვდიდნენ ინსტრუქციას შესაფერისი საგამოძიებო მეთოდების გამოყენებასთან დაკავშირებით, დანაშაულის შემადგენლობის დასამტკიცებლად. პოლიციამ უნდა უზრუნველყოს, რომ გენდერულმა სტერეოტიპებმა არ მოახდიოს გავლენა გამოძიებაზე და არ დააყენოს მტკიცებულების შეგროვება რისკის ქვეშ.

კარგი პრაქტიკის მაგალითი: ბელგიაში იუსტიციის მინისტრმა და წყვილებს შორის ძალადობის კუთხით სისხლის სამართლის პოლიტიკაზე მომუშავე გენერალურ პროკურორთა საბჭომ მიიღეს ერთობლივი ცირკულარი, რომელიც ადგენს ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებს. ცირკულარი მოიცავს საერთო სტანდარტულ სისტემას ოჯახში ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირებისა და აღრიცხვის და ასევე, მტკიცებულებების შეგროვების კუთხით. ცირკულარი იმ მულტი-დისციპლინარული მიდგომის შემადგენელი ნაწილია, რომელიც მსხვერპლზე კონცენტრირებულ მიდგომას ეფუძნება და ასევე, მოიცავს პროცდურებს უფლებების შესახებ მსხვერპლთა ინფორმირებისა და მათი მხარდაჭერის სერვისებზე გადამისამართების კუთხით.

- გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს **ყველა არსებულ მტკიცებულებას**, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის ალბათობასა და დანაშაულის სიმძიმეს. გადაწყვეტილების მიღების პროცესზე არ უნდა მოახდინოს გავლენა მიდგომებმა, რომლის თანახმადაც გენდერის ნიშნით ჩადენილი ძალადობა, მაგალითად, ოჯახში ძალადობა ან ადევნება, ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა დანაშაული, და რომ აღნიშნული "ოჯახურ ან პირად საკითხს" წარმოადგენს, ან რომ ფართო საზოგადოებას არ უქმნის საფრთხეს. გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, ასევე, არ უნდა მოახდინოს გავლენა სტერეოტიპულმა წარმოდგენებმა იმის შესახებ, თუ როგორია "რეალური მსხვერპლი" ან როგორია ოჯახში ძალადობის მსხვერპლის "შესაფერისი ქცევა".

კარგი პრაქტიკის მაგალითი: სტამბოლის კონვენციის თანახმად, სახელმწიფო მხარეებს მოეთხოვებათ, დაუშვან ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების ex parte ან ex officio გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა (რაც იმას ნიშნავს, რომ გამოძიება და სამართლებრივი დევნა არ უნდა იყოს დამოკიდებული მსხვერპლის მიერ საჩივრის შეტანაზე ან შეტყობინების გაკეთებაზე) (მუხლი 55). ეს პოლიტიკა პროკურორის დისკრეციის პროლემური გამოყენების აღკვეთას უწყობს ხელს. ასევე,

შესაძლებელია ისეთი პოლიტიკის დანერგვა, რომლის თანახმადაც, პროკურორებს მოეთხოვებათ, წარმოადგინონ განმარტებები იმის შესახებ, თუ რატომ შეწყდა საქმე. აღნიშნული გადაწყვეტილება, შესაძლოა, დაექვემდებაროს სასამართლოს კონტროლს. ამავდროულად, როდესაც სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება მსხვერპლის თანხმობის გარეშე, მნიშვნელოვანია, რომ მსხვერპლს ჰქონდეს წვდომა სამართლებრივი დაცვის სხვა საშუალებებზე - მაგალითად, დამცავ ორდერზე.

<u>მოსამართლეებს</u> შეუძლიათ სხვადასხვა ზომების მიღება გენდერულად მგრძნობიარე მიდგომის უზრუნველსაყოფად:

- **<u>დამცავი ორდერის გამოცემა</u>** - დამცავი ორდერის შესახებ მოსმენა მნიშვნელოვანი პირველი შესაძლებლობაა მოსამართლისათვის, რათა მან შექმნას სათანადო ატმოსფერო და მოახდინოს დემონსტრირება იმისა, რომ სახელმწიფო სათანადო გულისხმიერებით ეკიდება ოჯახში ძალადობის შემთხვევებს.
- **<u>დისკრეციის განხორციელება</u>** სისხლის სამართლის პროცესის საწყის ეტაპზე, მსხვერპლის/მოწმის უფლებებისა და ღირსების დასაცავად და იმის უზრუნველსაყოფად, რომ მსხვერპლი/მოწმე არ განიცდის მეორეულ ვიქტიმიზაციას. აღნიშნული, შესაძლოა, განხორციელდეს, მაგალითად, სასამართლოში საქმის განხილვის დახურვით იმ შემთხვევაში, თუ საქმე ეხება სექსუალურ ძალადობას და კონფიდენციალობის დაცვას საჭიროებს. სტამბოლის კონვენცია ნათლად ადგენს, რომ მსხვერპლთა/მოწმეთა უფლებები, ინტერესები და სპეციალური საჭიროებები დაცული უნდა იყოს გამოძიების ყველა ეტაპზე (მუხლი 56); აღნიშნული მოიცავს ზომების მიღებას, რათა მოხდეს მსხვერპლის ინფორმირება მოძალადისგან მომდინარე პოტენციური საფრთხის, მისი უფლებებისა და მისთვის ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ და, ასევე, მსხვერპლსა და მოძალადეს შორის კონტაქტის არიდება.
- **<u>სიფრთხილის გამოჩენა სამოქალაქო საქმეებში</u>** - მოსამართლეები უნდა დაფიქრდნენ, თუ რამდენად მიზანშეწონილია მორიგების ხელშეწყობა და

ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, რომ შესაძლოა ქალზე ხორციელდებოდეს ზეწოლა მორიგების მიღწევის მიზნით.

- **გამოძიებისა და მტკიცებულებების შეგროვების ეტაპები** (განსაკუთრებით სასამართლო-სამედიცინი მტკიცებულების შეგროვებისა და შემოწმების შემთხვევაში) არ უნდა გაჭიანურდეს იმგვარად, რაც საფრთხეს შეუქმნის სისხლისსამართლებრივ დევნასა და საქმის განხილვას. ზოგადად, ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებში, კარგ პრაქტიკად ითვლება დაჩქარებული წარმოების გამოყენება (მაგალითად, ყველაზე სწრაფი საშუალებებისა და სპეციალიზირებული სასამართლოების გამოყენება). სხვადასხვა ქვეყნებში არსებული კარგი პრაქტიკის თანხმად, გამოძიების უფლებამოსილება შეიძლება მიენიჭოთ თანასწორობის სპეციალიზირებულ და კვაზი-სამართლებრივ ორგანოებს.

- თუ მსხვერპლი/მოწმე ქალი სასამართლოზე თავდაპირველი ჩვენების საწინააღმდეგო ჩვენებას იძლევა, მოსამართლემ ჩვენების შეცვლის მიზეზის დასადგენად სიფრთხილით უნდა დაუსვას მას კითხვები, რათა მოხდეს რეაგირება (მაგალითად, მსხვეპრლი/მოწმე შესაძლოა ზეწოლას/მუქარას განიცდიდეს ბრალდებულისგან; ასეთ დროს მოსამართლე, საჭიროების შემთხვევაში, ბრალდებულს სასამართლო დარბაზს ატოვებინებს).

მტკიცებულებებთან დაკავშირებული საკითხები

- *დისკრიმინაციის* *დადგენა* - გენდერის ან სქესის ნიშნით განხორციელებული დისკრიმინაციის შემთხვევების სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლო განხილვის კუთხით ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენს იმ მტკიცებულების არ არსებობა, რომელიც დაადასტურებს, რომ კონკრეტული ქმედება ან გადაწყვეტილება იყო დისკრიმინაციული. შესაბამისად, მტკიცებულებების შეფასებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს სადაო წესების, პოლიტიკის ან პრაქტიკის შედეგებზე, რათა წარმოჩინდეს, რომ ისინი არაპროპორციულად არახელსაყრელია ადამიანების კონკრეტული ჯგუფებისათვის, იმ

ადამიანებთან შედარებით, რომლებიც იმავე მდგომარეობაში იმყოფებიან. დისკრიმინაციის შემთხვევებში, იმისათვის, რომ არსებობდეს prima facie საქმე, უნდა დადგინდეს მტკიცების ტვირთი და მტკიცებულებები. სისხლის სამართლის, ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებში განსხვავებულია მსხვერპლის როლი მტკიცებულების წარდგენის კუთხით, საჭირო მტკიცებულებების წონა და მტკიცების ტვირთი. სისხლის სამართლის საქმეებში მსხვერპლს შედარებით შეზღუდული როლი აქვს. დისკრიმინაციის გამოძიება და დადგენა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით და იმის დამტკიცება, რომ ბრალდებულს დისკრიმინაციული განზრახვა გააჩნდა, სახელმწიფო ორგანოების პასუხისმგებლობას წარმოადგენს. მტკიცების ტვირთი მუდმივად ბრალდების მხარეზეა. უდანაშაულობის პრეზუმფციისა და პოტენციური სასჯელის სიმკაცრის გამო მტკიცების სტანდარტი სისხლისსამართლებრივ საქმეებში მაღალია. განსხვავებული სიტუაციაა სექსუალური/ გენდერული დისკრიმინაციის შემთხვევებზე სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების შემთხვევაში, სადაც მსხვერპლს უფრო აქტიური როლი აქვს, ხოლო თითეულმა მხარემ უნდა წარმოადგინოს მტკიცებულება საკუთარი მოთხოვნის გასამყარებლად. ევროპულ კანონმდებლობაში, ევროკავშირის დირექტივებისა და მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს (CJEU) პრეცედენტული სამართლის თანახმად, მტკიცების ტვირთი მომჩივნიდან ბრალდებულზე გადადის.

<u>კარგი პრაქტიკის მაგალითი:</u> შვედეთის ფედერალური აქტი ქალებისა და მამაკაცების თანასწორობის შესახებ (Loi federale sur l'egalite entre femmes et hommes, 24 March 1995) მიღებულ იქნა, ნაწილობრივ, შვედეთის კონსტიტუციის ანტი-დისკრიმინაციული დებულებების განხორციელების ხელშესაწყობად, კერძოდ კი ასეთი საქმეების სასამართლოში განხილვის პროცედურების დადგენის მიზნით. აქტი შეიცავს დებულებას "მტკიცების ტვირთის შემსუბუქების" შესახებ, რომლის თანახმადაც დისკრიმინაციის შესახებ პრეზუმფცია არსებობს იმ შემთხვევაში, თუ მომჩივანს შეუძლია დისკრიმინაციის სარწმუნოდ დემონსტრირება. შრომითი ურთიერთობების კონტექსტში, შვედეთის

პრეცედენტული სამართლის თანახმად, საკმარისია, რომ ქალმა მოახდინოს დემონსტრირება იმისა, რომ მსგავს თანამდებობაზე მომუშავე მამაკაცი, რომელიც იმავე სამუშაოს ასრულებს, რასაც ქალი თანამშრომელი, იღებს უფრო მეტ ანაზღაურებას (მაგალითად, წარმოადგინოს, რომ ქალმა თანამშრომელმა 15-25%-ით ნაკლები ანაზღაურება მიიღო, ვიდრე მამაკაცმა), რის შედეგადაც მტკიცების ტვირთი გადადის მოპასუხეზე. დისკრიმინაციის პრეზუმფციის დასაძლევად, დასაქმებულმა უნდა წარმოადგინოს ობიექტური მიზეზების დამადასტურებელი მტკიცებულება, განსხვავებული მოპყრობის გამართლების მიზნით. გამართლება უნდა იყოს დისკრიმინაციის მოცულობის პროპორციული. მტკიცებულებასთან დაკავშირებულ წესებს მტკიცების გარკვეული ტვირთი მოპასუხეზე გადააქვს. ეს წესები, ასევე, უადვილებს მოსამართლეს შრომას, რადგან მოსამართლეს მკაცრი მტკიცებულების გარეშე შეუძლია დისკრიმინაციის დადგენა. აღნიშნული მიდგომა დაინერგა დასაქმების კონტექსტში დისკრიმინაციის აღიარების ხელშესაწყობად.

მტკიცებულების გავრცელებული ფორმები - ისეთი, როგორიცაა მოწმის ჩვენება, დოკუმენტები ან ზოგადად აღიარებული ინფორმაცია - მნიშვნელოვანია დისკრიმინაციის შესახებ საჩივრებისთვის. ამავდროულად, სამართლის სპეციალისტები უნდა იცნობდნენ მტკიცებულების სხვა სახეობებსაც - მაგლაითად, სტატისტიკა, სიტუაციის შემოწმება, კითხვარები, აუდიო და ვიდეო ჩანაწერები, ექსპერტიზის დასკვნა და გარემოებითი მტკიცებულებების საფუძველზე გაკეთებული დასკვნა, რისი გამოყენებაც შესაძლებელია დისკრიმინაციის შესახებ სარჩელის გასამყარებლად. ხშირ შემთხვევებში, პრიდაპირი დისკრიმინაციის დამადასტურებელი მტკიცებულების არარსებობა გამოიყენება სარჩელის განუხილველად დატოვების ან არ დაკმაყოფილების საფუძვლად. სწორედ აღნიშნულ საკითხს ეხება სტამბოლის კონვენცია, რომლის თანახმადაც, კონვენციის ხელშემკვრელი მხარეები ვალდებულები არიან უზრუნველყონ, რომ " დანაშაულის გამოძიება ან სისხლისსამართლებრივი დევნა არ იყოს მთლიანად დამოკიდებული მსხვერპლის მიერ შეტანილ განცხადებაზე ან საჩივარზე, [...] და რომ სასამართლო პროცესი გაგრძელდეს მაშინაც კი, თუ მსხვერპლი გამოიტანს განცხადებას ან საჩივარს." (მუხლი 55)

- *სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომის გამოყენებით* - პროკურორმა მსხვერპლის შესახებ წინასწარი ვარაუდები არ უნდა შექმნას და უნდა გააცნობიეროს, რომ ძალადობრივი ინცინდენტების შესახებ ჩვენების მიცემამ, შესაძლოა, დაზარალებულებზე სხვადასხვა სახის გავლენა იქონიოს. კერძოდ, ზოგმა ეს პროცესი, შესაძლოა, აღიქვას, როგორც "შვების მომცემი" და "გამაძლიერებელი", ხოლო ზოგმა, შესაძლოა, მეორეული ტრავმატიზება განიცადოს.
- *არა-მსხვერპლისმიერი ანუ გამამყარებელი მტკიცებულების გამოყენება* - არა-მსხვერპლისმიერი მტკიცებულება წარმოადგენს მსხვერპლის გარდა სხვა წყაროდან მიღებულ მტკიცებულებას, რომელიც ამყარებს მსხვერპლის მოთხოვნას. გამამყარებელი მტკიცებულება, შესაძლოა, გამოყენებული იქნას იმ შემთხვევაში, თუ მსხვერპლის მიერ პოლიციისთვის ან პროკურორისთვის მიცემული ჩვენება მტკიცებულების სახით წარედგინა სასამართლოს, მაგრამ თავად მსხვერპლს სასამართლოზე ჩვენება არ მიუცია. მტკიცებულების სხვა ფორმების გამოყენება არ ნიშნავს იმას, რომ მსხვერპლის ჩვენება არ არის სანდო. ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებში ხშირად იყენებენ არა-მსხერპლისმიერი/გამამყარებელი მტკიცებულების ისეთ სახეობებს, როგორებიცაა: პოლიციელთა ჩვენებები, მეზობლის ან სხვა მოწმის ჩვენება; გადაუდებელი დახმარების ცხელ ხაზზე განხორციელებული ზარების ჩანაწერები/პოლიციისათვის რადიოთი გადაცემული შეტყობინება; ვიდეო კონტროლის სისტემებიდან ამოღებული ჩანაწერები; დაზიანებისა და შემთხვევის ადგილის ფოტოები; სამედიცინო ისტორია/დასკვნები; ინფორმაცია წარსული ინცინდენტების შესაახებ (მაგალითად, მოძალადის ნასამართლობა; შემაკავებელი/დამცავი ორდერები; ადმინისტრაციული სასჯელი); კომუნიკაცია მსხვერპლსა და მოძალადეს შორის; მოძალადის ხასიათის ნიშან-თვისებების შესახებ უარყოფითი მტკიცებულება და ექსპერტის ჩვენება, განსაკუთრებით კი იმის შესახებ, თუ რა გავლენას ახდენს ძალადობა მსხვერპლზე, მის საერთო ქცევასა და რეაქციებზე.

- *მსხვერპლთან სენსიტიური მუშაობა* - უნდა გადაიდგას ნაბიჯები იმისათვის, რომ მოწმე აცნობიერებს პროცესზე საკუთარი როლის მნიშვნელობას და იმას, თუ რა ხდება პროცესზე და როგორ მოიქცევა პროკურორი მის სასარგებლოდ რისკის შესამცირებლად. საქმის მასალებში უნდა არსებობდეს მსხვერპლის მკაფიო და ამომწურავი ჩვენება, რომლის გამოყენებაც შესაძლებელი იქნება მტკიცებულების სახით, იმ შემთხვევაში, თუ მოწმე სასამართლოზე არ მისცემს ჩვენებას და ასევე, ინცინდენტის შესახებ ზედმეტი და განმეორებითი კითხვებისგან მსხვერპლის დასაცავად. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს იმ მეთოდებს, რომელიც გამოყენებული იქნება სასამართლოში მტკიცებულების წარსადგენად. უნდა შეირჩეს ისეთი მეთოდები, რომელიც მსხვერპლის მიერ განცდილ ტრავმასა და რისკს ამცირებს და ინვაზიური და განმეორებითი კითხვების დასმისგან იცავს მას - მაგალითად, წინასწარ ჩაწერილი ჩვენების გამოყენება მტკიცებულების სახით; თხოვნა/მითითება იმის შესახებ, რომ მსხვერპლმა ჩვენება მიცეს ცალკე ოთახიდან, ვიდეო-ბმულის ან ვიდეო-მონიტორინგის სისტემების საშუალებით. მზად უნდა იყოთ იმისათვის, რომ დაცვის მხარემ შესაძლოა წარმოადგინოს დამაზიანებელი და მსხვერპლისთვის უხერხულობის შემქმნელი მტკიცებულება. სტამბოლის კონვენცია სახელმწიფო მხარეებს მკაფიოდ აკისრებს ვალდებულებას, უზრუნველყონ, რომ ნებისმიერი მტკიცებულება, რომელიც ეხება მსხვერპლის სქესობრივი ცხოვრების ისტორიას და სქესობრივ ქცევას, ნებადართული იყოს მხოლოდ მაშინ, თუ ეს შეესაბამება საქმის არსს და აუცილებელია (მუხლი 54).

- *გენდერული სტერეოტიპების თავიდან აცილება* - მტკიცებულებებთან დაკავშირებული წესები და პროცედურები მნიშვნელოვან როლს თამაშობს, რადგან მათი მეშვეობით შეიძლება ხდებოდეს გენდერული სტერეოტიპების გამოყენება, რაც მსხვერპლის სანდოობაზე უარყოფითად მოქმედებს. ქვემოთ განხილულია მტკიცებულებებთან დაკავშირებული სამი პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება გენდერულ სტერეოტიპებს და რომლის გამოყენება არ უნდა მოხდეს:

1. საჩივრის მოკლე ვადებში შეტანის მოთხოვნა: ზოგიერთ იურისდიქციაში, მსხვერპლის მიერ შეტყობინების გვიან გაკეთება გამოიყენება არგუმენტად მსხვერპლის წამოყენებული ბრალდებების სიმართლეში ეჭვის შესატანად. აღნიშნული წესი ხელს უწყობს სტერეოტიპული ვარაუდების ჩამოყალიბებას იმის შესახებ, რომ სექსუალური ძალადობის "რეალური" ან "იდეალური" მსხვერპლი ძალადობის შესახებ შეტყობინებას სწრაფად ახორციელებს.

2. გამამყარებელი მტკიცებულების შესახებ მოთხოვნა კრძალავს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას მხოლოდ დაზარალებულის ჩვენების საფუძველზე და აწესებს სამართლებრივ მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც მსხვერპლის ჩვენება გამყარებული უნდა იქნას სხვა მტკიცებულებიებთ. აღნიშნული სექსუალური ძალადობის მსხვერპლს უწესებს მტკიცების მაღლ სტანდარტს, სხვა ძალადობრივ დანაშაულებთან შედარებით.

3. მსხვერპლის ჩვენების სანდოობაში ეჭვის შეტანა, მისი წარსული სექსუალური ქცევის გამო, რაც წარმოადგენს სტერეოტიპს, რომ მხოლოდ იმ ქალების ნათქვამია სარწმუნო, რომლებიც აღიქმებიან, როგორც "პატიოსანი," მორალური თვისებების მქონე და პატივსაცემი. შედეგად, სასამართლო პროცესი მიმდინარეობს არა მოძალადის, არამედ მსხვერპლის წინააღმდეგ, რადგან ყურადღება მახვილდება მის ქცევაზე და არა ბრალდებულის სავარაუდო ქმედებაზე .

<u>კარგი პრაქტიკის მაგალითი:</u> გაუპატიურების მსხვერპლთა დაცვის კანონები კრძალავს ან მაქსიმალურად ხლუდავს მსხვერპლის სექსუალური ისტორიის, ქცევისა თუ რეპუტაციის გამოყენებას, თუ ეს საქმის არსს არ უკავშირდება. აღნიშნული კანონები ეფუძნება იმის აღიარებას, რომ ამ ფორმის მტკიცებულებები ხშირად გამოიყენება მოწმის სანდოობაზე უარყოფითი გავლენის მოსახდენად და მისი პირადი ცხოვრების უფლებას არღვევს. ასეთი კანონები მოქმედებს კანადაში, გაერთიანებულ სამეფოსა და აშშ-ში.

სხვა პრობლემური მტკიცებულებები, რომელიც სექსუალური ძალადობის შემთხვევებში გვხვდება, ასევე, მოითხოვს ძალის გამოყენების ან ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევის შესახებ მტკიცებულებას და ასახავს მცდარ წარმოდგენას იმის თაობაზე, რომ თუ სექსუალური ძალადობა ჭეშმარიტად არ ეფუძნება მეორე პირის თანხმობას, ქალი აუცილებლად გაუწევს მოძალადეს წინააღმდეგობას.

საქმის თეორია და სამართლებრივი არგუმენტები

ქალთა მიმართ ძალადობის საქმისთვის მომზადების პროცესში, პროკურორებმა უნდა მოამზადონ საქმის თეორია, სადაც განსახილველი საკითხი წარმოდგენილი იქნება როგორც დანაშაული და ასევე დისკრიმინაციის ფორმა. მათ უნდა მოამზადონ და პროცესის მონაწილეებს გააცნონ ქალთა მიმართ ძალადობის არსი - მაგალითად, ძალადობის განვითარება და მისი გავლენა ქალებზე. სისხლის სამართლებრივი დევნის პროცესში პროკურორებმა, ასევე უნდა განმარტონ მსხვერპლთა ერთი შეხედვით წინააღმდეგობრივი ქმედებები, გამოიყენონ ფაქტები, მტკიცებულებები და სტატისტიკა მითების უარყოფის მიზნით და თავად არ უნდა მოახდინონ სტერეოტიპების ხელშეწყობა.

სამართლებრივი დაცვის საშუალებები

სამართლებრივი დაცვის საშუალებები უნდა იყოს კონკრეტული უფლების დარღვევაზე მორგებული, სამართალდარღვევაზე უნდა ახდენდეს რეაგირებას და ამავდროულად, მიყენებული ზიანისთვის კომპენსაციას უნდა უზრუნველყოფდეს. სამოქალაქო საქმეების შემთხვევაში, აღნიშნული, შესაძლოა მოიცავდეს რესტიტუციას (საჭიროების შემთხვევაში), კომპენსაციას/ზიანის ანაზღაურებას და ზომებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ არ მოხდება ჩადენილი ქმედების განმეორება. სასამართლოებმა, ასევე უნდა განიხილონ მსხვერპლებისათვის რეაბილიტაციის გავლის უზრუნველყოფის საკითხიც (სამედიცინო ან ფსიქოლოგიური მზრუნელობა და სხვა სოციალური მომსახურება). მსხვერპლი, შესაძლოა, არ ფლობდეს ინფორმაციას ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობის შესახებ ან არ იცოდეს,

თუ როგორ მიმართოს სამართლებრივი დაცვის საშუალებას. შესაბამისად, სამართლის სპეციალისტებმა მას უნდა მიაწოდონ ძირითადი ინფორმაცია არსებული შესაძლებლობების თაობაზე და ისინი გადაამისამართონ იურიდიული დახმარების სამსახურებში. მოძალადეზე ფულადი სანქციის დაკისრება ხშირად არაეფექტურია და შესაძლოა პოტენციურად ნეგატიური გავლენა იქონიოს ქალზე იმ შემთხვევაში, თუ იგი მეუღლეზე ან პარტნიორზე ფინანსურად არის დამოკიდებული.

სისხლის სამართლის საქმეებში, რომელიც ქალთა მიმართ ძალადობას ეხება, სათანადო სამართლებრივი დაცვის საშუალებების განსაზღვრა საჭიროებს ძალადობის დინამიკისა და მსხვერპლის მიერ განცდილი ზიანის გაანალიზებას. სტამბოლის კონვენციის თანახმად, სამართლებრივი დაცვის სათანადო საშუალების განსაზღვრის პროცესში რამოდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი უნდა იქნეს გათვალისწინებული . სამართლებრივი დაცვის საშუალება სამოქალაქო საქმეში მიყენებული ზიანისთვის და სისხლის სამართლებრივი სანქცია არ უნდა იყოს ურთიერთგამომრიცხავი, რაც იმას ნიშნავს, რომ ძალადობის მსხვერპლ ქალს უფლება აქვს, მოითხოვოს სამოქალაქო დაცვის საშუალება (მოძალადისგან ან სახელმწიფოსგან), სისხლისსამართლებრივ სანქციასთან ერთად (მუხლი 29). მსხვერპლს აქვს უფლება, მოითხოვოს კომპენსაცია განცდილი ზიანისთვის (მუხლი 30).

- *დამცავი ორდერი* წარმოადგენს სამოქალაქო, ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლებრივი დაცვის საშუალებას ან სასამართლოს მიერ მიღებულ ამკრძალავ ზომას, რომელიც მიზნად ისახავს ძალადობის დასრულებასა და მსხვერპლის დაცვას შემდგომი ძალადობისგან. როგორც ეს სტამბოლის კონვენციაშია აღნიშნული, დამცავი ორდერი უნდა იყოს ხელმისაწვდომი "სხვა სამართლებრივი პროცედურებისგან დამოუკიდებლად, ან მათზე დამატებით" და დასაშვები უნდა იყოს მისი შემდგომ სამართლებრივ პროცედურებში შეტანა (მუხლი 53). ამასთან, დამცავი ორდერის დარღვევა უნდა დაექვემდებაროს სისხლისსამართლებრივ ან სხვა სამართლებრივ სანქციას.
- *პროგრამები მოძალადეებისთვის* - ასეთი პროგრამების შექმნა კარგ პრაქტიკას წარმოადგენს და სტამბოლის კონვენციით არის გათვალისწინებული (მუხლი 16). პროკურორებს

შეუძლიათ მოითხოვონ, ხოლო სასამართლოებს - მოძალადეებს დაავალონ ასეთი პროგრამის გავლა სასჯელის ერთ-ერთ პირობად, თუმცა აღნიშნული მსჯავრდებისა და სხვა სამართლებრივი სანქციების ალტერნატივას არ უნდა წარმოადგენდეს. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის გავლა სავალდებულოა, სამართლის სპეციალისტმა უნდა დაადგინოს, ეს პროგრამა აკმაყოფილებს თუ არა შესაბამის კრიტერიუმებს, მოიცავს თუ არა რისკის შეფასებებსა და ზომებს მსხვერპლის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

- *სამართლებრივი დაცვის საშუალებები, რომელიც უფრო მეტია, ვიდრე პირველადი მდგომარეობის აღდგენა ("რესტიტუცია")* - ამ საშუალებებს ტრანსფორმაციული ძალა აქვს, რადგან ისინი მიზნად ისახავენ გენდერული მიკერძოებისა და სტერეოტიპების აღმოფხვრას სტრუქტურულ დონეზე. აღნიშნული, შესაძლოა, მოიცავდეს სასამართლოს მიერ კონკრეტული სახელმწიფო აქტორისთვის (მაგ. სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელი ან სამედიცინო მომსახურების გამწევი) გარკვეული ქმედების დავალებას - ისე, როგორც ეს მოხდა საქმეში González et al. v. Mexico (ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული სასამართლო, 2009). აღნიშნულ საქმეში სასამართლომ მოპასუხეს დაავალა ყველა ოქმის, სახელმძღვანელოს, საგამოძიებო კრიტერუმებისა და იმ სერვისების სტანდარტიზაცია, რომელიც გამოიყენება ქალების გაუჩინარებასთან, სექსუალურ ძალადობასა და მკვლელობასთან დაკავშირებული დანაშაულებების გამოსაძიებლად, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; საჯარო მოხელეებისათვის განკუთვნილი მუდმივი საგანმანათლებლო და ტრენინგ პროგრამებისა და კურსების განხორციელება ადამიანის უფლებებსა და გენდერზე, რათა მოხდეს ქალის სოციალურ როლთან დაკავშირებული სტერეოტიპის დაძლევა; და ზოგადად, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ჩიხუახუას შტატის მოსახლეობისთვის, რათა მოხდეს ძალადობის კუთხით არსებული მდგომარეობის მოგვარება. ჩიხუახუას შტატს, ასევე, დაევალა სასამართლოსათვის ყოველწლიური ანგარიშის წარდგენა, მომდევნო სამი წლის მანძილზე, აღნიშნული ზომების განხორციელების შესახებ. ამასთან, ნაცვლად სამართლებრივი დაცვის

საშუალების მითითებისა, სასამართლო უფლებამოსილია, აღმასრულებელ შტოსთან განიხილოს აღნიშნული საკითხი და მოსთხოვოს, წარმოადგინოს პრობლემის გადაჭრის გზები და განმარტოს მისი მოქმედება სასამართლოს წინაშე წამოჭრილ საკითხებთან დაკავშირებით.[4]

სასჯელის დანიშვნა

ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებში პროკურორებმა და მოსამართლეებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მოთხოვნილი სასჯელი ასახავს დანაშაულის სიმძიმეს. ასეთ შემთხვევებში დანიშნული სასჯელი უნდა იყოს **სამართლიანი, არა-დისკრიმინაციული, პროპორციული, ერთგვაროვანი და თანმიმდევრული**. სასჯელის ძირითადი მიზნებია მსხვერპლის დაცვა, ძალადობის განმეორების თავიდან აცილება და მოძალადეზე პასუხისმგებლობის დაკისრება. მოძალადის რეაბილიტაცია არ უნდა იყოს სისხლის სამრთლის საქმეში დანიშნული სასჯელის ძირითადი მიზანი.

პროკურორებმა და მოსამართლეებმა სისხლის სამართლის საქმეში სასჯელის დანიშვნის კონტექსტში შეიძლება გაითვალისწინონ გარკვეული საკითხები, მათ შორის:

- არსებობს თუ არა დამამძიმებელი გარემოებები, რომლებც ამართლებენ სასჯელის დამძიმებას? (მაგალითად, მსხვერპლთან კავშირი; დანაშაულის განმეორებით ჩადენა/ნასამართლობის არსებობა; ძალადობის გავლენა ბავშვებზე; ძალადობა განსაკუთრებული სისასტიკით და/ან იარაღის გამოყენება).
- რისკის შეფასების თანახმად, არსებობს თუ არა მოძალადის მიერ დანაშაულის განმეორებით ჩადენის საშიშროება?
- არის თუ არა ეს მოძალადის მიერ ჩადენილი პირველი დანაშაული? არ არის აუცილებელი, რომ ამ საფუძვლით მოხდეს სასჯელის შემცირება. ხშირია შემთხვევები, როდესაც ნასამართლობის არმქონე პირს წარსულში ძალადობა ჩაუდენია, თუმცა დანაშაულთან დაკავშირებით

4 იხ. გადაწყვეტილება T-760 (კოლუმბიის საკონსტიტუციო სასამართლო, Sentencia T-760/08, 2008 წლის 31 ივლისი) (კოლუმბია).

მისთვის ბრალი არ წარუდგენიათ. პროკურორებმა და მოსამართლეებმა ინფორმაციის სხვა წყაროებს უნდა მიმართონ მოძალადის მიერ წარსულში ჩადენილი ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირების მიზნით.

- შესაძლებელია, რომ სექსუალური ძალადობის ჩამდენს დაეკისროს სექსუალურ მოძალადედ დარეგისტრირების ვალდებულება კონკრეტულ იურისდიქციაში, როგორც სასჯელის შემადგენელი ნაწილი?
- მიეცა თუ არა მსხვერპლს შესაძლებლობა, წარმოედგინა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა გავლენა იქონია ძალადობამ მასზე, რაც სასჯელის დანიშვნასთან არსებით კავშირშია (მაგალითად, მსხვერპლის ჩვენება ძალადობის გავლენის შესახებ)?

კარგი პრაქტიკის მაგალითი: ზოგიერთმა სასამართლომ შეიმუშავა სასჯელის დანიშვნის სახელმძღვანელო პრინციპები, რაც მოსამართლეებს ოჯახში ძალადობისა და სექსუალური ძალადობის შემთხვევებში ეხმარება შესაბამისი სასჯელის განსაზღვრაში. გაერთიანებულ სამეფოში ასეთი სახელმძღვანელო პრინციპები მოიცავს იმ ფაქტორებს, რომელიც მოსამართლეებმა უნდა გაითვალისწინონ და რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს სასჯელის განსაზღვრაზე. ეს სახელმძღვანელო პრინციპები ეფუძნება კვლევასა და მტკიცებულებებს და ითვალისწინებს პრობლემის მიმართ ზოგად მიდგომასა და ექსპერტთა მოსაზრებებს. პერიოდულად ხდება სახელმძღვანელო პრინციპების დანერგვის გადახედვა. ინგლისისა და უელსის სასჯელის დანიშვნის საბჭომ შეიმუშავა სახელმძღვანელო პრინციპები სექსუალური ძალადობის, ოჯახში ძალადობის ან დამცავი ორდერის დარღვევის შემთხვევებთან დაკავშირებით აღძრული საქმეებისათვის.[5]

5 სასჯელის დანიშვნის სახელმძღვანელო პრინციპები ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: http://www.sentencing-guidelines.gov.uk.

რისკის შეფასება

გადაწყვეტილებები პირობით მსჯავრთან, პატიმრობის პირობებთან და პირობით განთავისუფლებასთან დაკავშირებით მიღებული უნდა იქნას ძალადობის იმ სამომავლო რისკების შეფასების საფუძველზე, რომელიც შესაძლოა მსხვერპლს ან სხვა პირებს დაემუქროს. ოჯახში ძალადობის შემთხვევებში, რისკის შეფასებას ახორციელებს პოლიცია, სამართალწარმოების ადრეულ ეტაპზე. თუმცა, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს შეფასების დასკვნების გადახედვას. ეს პროცესი კი საჭიროებს კოორდინაციას სასამართლო პროცესის მონაწილეებს შორის და მსხვერპლთა მონაწილეობას. გათავისუფლების პირობების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლეები ხელმძღვანელობენ ექსპერტის დასკვნით იმის შესახებ, თუ რამდენად საშიშია კონკრეტული სამართალდამრღვევი. ციხიდან მსხვერპლისათვის გაგზავნილი მუქარები გათვალისწინებული უნდა იქნას საპატიმრო სასჯელის გადახედვის პროცესში. თუ მსხვერპლს ან მის ოჯახის წევრებს ემუქრებათ საფრთხე, მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს მსხვერპლის ინფორმირება მოძალადის ციხიდან გაქცევის ან დროებით თუ სამუდამოდ გათავისუფლების შესახებ.

საქმის გენდერულად მგრძნობიარე წარმოება და სასამართლო დარბაზის მართვა

არსებობს პროკურორებისა და მოსამართლეების მიერ გასათვალისწინებული სხვადასხვა პრაქტიკული საკითხები, რათა უზრუნველყოფილი იქნას სამართალწარმოებაში მონაწილე ქალების უსაფრთხოება და რისკების შემცირება, განსაკუთრებით სისხლის სამართლის საქმეებში.

უსაფრთხოების საკითხები და რისკის მართვა

- პროკურატურასა და სასამართლოებს უნდა გააჩნდეთ **უსაფრთხოების უზრუნველყოფის ადეკვატური საშუალებები** - მაგალითად, შემოწმება (სკრინინგი) იარაღის აღმოსაჩენად და უსაფრთხოების პერსონალის ტრენინგი ქალთა მიმართ ძალადობის დინამიკაზე.

- ოჯახში ძალადობის საქმის პროცესზე მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს, რომ მოძალადემ შესაძლოა მიმართოს სხვადასხვა ტაქტიკას **მსხვერპლზე ზეწოლის** მოსახდენად ან სამართლებრივი პროცესის მანიპულირების მიზნით (მაგალითად, დაჟინებული მზერა , მიშტერება, ემოციური თხოვნები და ა.შ.). მოსამართლემ გადაჭრით უნდა იმოქმედოს, გააფრთხილოს შესაბამისი პირი, პროცესის მხარეები გადასვას ან, საჭიროების შემთხვევაში, მოძალადეს სასამართლო დარბაზი დაატოვებინოს.
- პროცესის დასასრულს, თუ მოძალადე პატიმრობაში არ რჩება, მხარეებს უნდა მიეცეთ სასამართლო დარბაზის დროის გარკვეული **ინტერვალის** დაცვით დატოვების შესაძლებლობა. დარბაზიდან ჯერ მსხვერპლი უნდა გავიდეს. საჭიროების შემთხვევაში, მსხვერპლს შენობიდან გასასვლელად უნდა შეეძლოს, უსაფრთხოების თანამშრომლის თანხლებით სარგებლობა.
- პროკურორები და მოსამართლეები მომჩივან ქალებს, განსაკუთრებით კი ძალადობის მსხვერპლ ქალებს უნდა ესაუბრონ მათი და მათი ოჯახის წევრთა **უსაფრთხოების გეგმებზე.**
- პროკურორმა მსხვერპლს/მოწმეს უნდა განუმარტოს სამართლებრივი პროცესის სხვადასხვა ეტაპები და მას ჰკითხოს, განიხილავს თუ არა **დამცავი ორდერის** მოთხოვნას. პროკურორმა მსხვერპლთან/მოწმესთან ერთად უნდა მიმოიხილოს ის ნაბიჯები, რისი გადადგმაც შესაძლებელია სამართლებრივი პროცესის მიმდინარეობისას მისი უსაფრთხოების დასაცავად. იმის გათვალისწინებით, რომ მოძალადე, შესაძლოა, პატიმრობაში არ იმყოფებოდეს, პროკურორმა მსხვერპლს/მოწმეს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია ღია სასამართლოზე მისი პირადი უსაფრთხოების დაცვის გეგმებთან დაკავშირებით.
- სამართლის სპეციალისტებს უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია **სოციალური სამსახურებისა** და ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის ორგანიზაციების შესახებ, რათა მსხვერპლი შესაბამისად გადაამისამართონ.
- მოსამართლეებსა და პროკურორებს ეკისრებათ **რისკის შეფასების** მოვალეობა, რათა განსაზღვრონ ძალადობის

ესკალაციის რისკის დონე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას უზრუნველყონ ამ რისკის მართვა, მონიტორინგი და ინტერვენცია იმ მოცულობით, რასაც მართლმსაჯულების სისტემა მოითხოვს.

- დამცავი ორდერის მოსმენაზე მოსამართლემ უნდა გამოიყენოს რისკის შეფასება, რის საფუძველზეც იგი განსაზღვრავს ორდერის შინაარსს - მაგალითად, **ბავშვის მონახულებაზე** შეზღუდვების დაწესება.
- რისკის შეფასება უნდა განხორციელდეს პერიოდულად, რადგან რისკის დონეები დინამიურია და იცვლება სამართალწარმოების მიმდინარეობისას. აღნიშნული უნდა განხორციელდეს მსხვერპლთან თანამშრომლობით. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ყველა სპეციალისტი, რომელიც ოჯახში ძალადობის მსხვერპლებთან მუშაობს, **საერთო კრიტერიუმებს** იყენებდეს რისკის შესაფასებლად (მრავალუწყებრივი მიდგომა).

კარგი პრაქტიკის მაგალითი: ბელგიაში იუსტიციის მინისტრმა და წყვილებს შორის ძალადობის კუთხით სისხლის სამართლის პოლიტიკაზე მომუშავე გენერალურ პროკურორთა საბჭომ მიიღეს ერთობლივი ცირკულარი, რომელიც ადგენს ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებს.[6] ცირკულარი მოიცავს საერთო სტანდარტულ სისტემას ოჯახში ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირებისა და აღრიცხვის და ასევე, მტკიცებულებების შეგროვების კუთხით. ცირკულარში, ასევე წარმოდგენილია სამართალდამცავი ორგანოებისა და მართლმსაჯულების სფეროს წარმომადგენელთა მოვალეობები. ცირკულარი ერთგვარი სახელმძღვანელო ინსტრუმენტია ორივე დაწესებულებისათვის.[7]

6 ერთობლივი ცირკულარი ხელმისაწვდომია ფრანგულ და ფლამანდიურ ენაზე, შემდეგ მისამართზე: http://www.evaw-global-database.unwomen.org/

7 ევროპის საბჭოს გენდერული თანასწორობის კომისია, 2015- კარგი პრაქტიკის მაგალითების კრებული არსებული დაბრკოლებების დასაძლევად და მართლმსაჯულებაზე ქალთა ხელმისაწვდომობის ხელშესაწყობად (გვ. 24-26).

- ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევები საჭიროებენ სასამართლო სისტემაში მართვისა და მოქმედების სპეციალური ტექნიკის არსებობას. ზოგიერთ ქვეყანაში შექმნილია სპეციალიზებული სასამართლოები ან სპეციალური კოლეგია, რომელიც კონკრეტულად ამ ტიპის საქმეებზე მუშაობს ან მართავს მოსმენებს ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული დამცავი ორდერების შესახებ.

<u>კარგი პრაქტიკის მაგალითი:</u> 2004 წელს, ესპანეთმა მიიღო კანონმდებლობა დაცვის ინტეგრირებული ზომების შესახებ, გენდერით მოტივირებული ძალადობის შემთხვევებთან დაკავშირებით (ორგანული აქტი Act 1/2004). კანონმდებლობის შემდგომი რეფორმის შედეგად დაინერგა ზომები, რომელიც აქტის პრაქტიკაში განხორციელებას უწყობს ხელს - ისეთი, როგორიცაა სწრაფი სასამართლო პროცესები ოჯახში ძალადობის კონკრეტულ ნაკლებად სერიოზულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით. ასეთ საქმეებზე სასამართლო ინცინდენტიდან ორი კვირის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას. ასევე, შეიქმნა ოჯახში ძალადობის სპეციალიზებული პროკურორი და სპეციალიზებული სასამართლოები. სასამართლოებს აქვთ როგორც სისხლის სამართლის, ისე სამოქალაქო იურისდიქცია. ისინი განიხილავენ დამცავ ორდერთან დაკავშირებით მიღებულ განცხადებებს (განცხადების შეტანა მსხვერპლს შეუძლია პოლიციაში, მაგისტრატ სასამართლოში, პროკურატურაში ან ქალთა მხარდაჭერის ადგილობრივ ცენტრებში), რის შესახებაც გადაწყვეტილების მიღება ხდება 72 საათში. მოსამართლეებს, რომლებიც სპეციალიზებულ სასამართლოებში მუშაობენ, მოეთხოვებათ ტრენინგის გავლა გენდერის ნიშნით ძალადობის შესახებ. აქტის საფუძველზე შეიქმნა ჰოლისტიკური და მულტი-დისციპლინარული მიდგომა გენდერის ნიშნით მოტივირებული ძალადობის მიმართ, როგორც სამართლებრივი სისტემის შიგნით, ისე მის გარეთ, მსხვერპლის მხარდაჭერის სამსახურების ჩათვლით, რომლებთანაც სასამართლოები თანამშრომლობენ.

- სამართლის სპეციალისტებმა უნდა გადადგან ნაბიჯები ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების

იდენტიფიცირების მიზნით, რომლებიც **პრიორიტეტულია და დაუყოვნებლივ ყურადღებას საჭიროებს** - მაგალითად, შესაბამისი საქმის მასალებზე მკაფიოდ უნდა გაკეთდეს მონიშვნა იმის აღსანიშნავად, რომ საჭიროა მოცემული საქმის სწორად, მაქსიმალურად სწრაფად და სენსიტიურად მართვა.

შეხვედრების დაგეგმვა და სასამართლოში არსებული გარემო

- მსხვერპლისათვის უნდა აირჩეს შეხვედრისთვის უსაფრთხო, განცალკევებული და კომფორტული მდებარეობა.
- სასამართლოს შენობაში უნდა არსებობდეს ცალკე **მოსაცდელი სივრცე** თითოეული მხარისთვის.
- ადგილზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს ბავშვებზე მზრუნველობის გაწევა.
- ქალებს უნდა ჰქონდეთ უფლება, რომ თან ახლდეთ ადვოკატი ან მხარდამჭერი.

მსხვერპლის ინფორმირება თავისი უფლებებისა და არსებული მხარდაჭერის სერვისების შესახებ

- სტამბოლის კონვენციის თანახმად, პროკურორები და მოსამართლეები ვალდებული არიან, მსხვერპლებს მიაწოდონ კონკრეტული ინფორმაცია მათი სამართლებრივი უფლებებისა და არსებული მხარდაჭერის სერვისების შესახებ (მუხლი 56).
- პროკურორებმა ძალადობის მსხვერპლს უნდა განუმარტოს, თუ რა როლს თამაშობს სახელმწიფო სისხლის სამართლის პროცესში და რა სახის დახმარებაა მისთვის ხელმისაწვდომი.
- გენდერის ნიშნით მოტივირებული დანაშაულების მსხვერპლს მკაფიოდ უნდა განემარტოს მისი **უფლება**, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება და სამოქალაქო დამცავი ორდერი, გამოხატოს თავისი შეხედულება პროცესებზე, როგორც წინასასამართლო პროცესზე, ისე არსებითი განხილვის დროს, და ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება.

- ზოგ სამართლებრივ სისტემებში მოქალაქეებს უფლება აქვთ, მიიღონ სამართლებრივი და სხვა ტიპის **მხარდაჭერა** იმ შემთხვევაში, თუ ისინი კონკრეტულ კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ. ეს ინფორმაცია ქალებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს მაშინ, როდესაც მათ სასამართლო სისტემასთან პირველად უწევთ ურთიერთობა. პროკურორები არ უნდა ვარაუდობდნენ, რომ ქალები ამ ინფორმაციას მიიღებენ პოლიციაში, არამედ, მათ თავდაპირველი გამოკითხვის დროს გარკვეული დრო უნდა დაუთმონ მსხვერპლისათვის ხელმისაწვდომ რესურსებზე საუბარს.

კარგი პრაქტიკის მაგალითი: არაერთ ქვეყანაში არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ქალთა უფლებებზე მუშაობენ, და იურიდიული დახმარების სამსახურები თანამშრომლობენ ადგილობრივ პროკურატურასთან და სასამართლოებთან, რათა მათ მიერ შეთავაზებული მომსახურების შესახებ საინფორმაციო ბროშურები ხელმისაწვდომი იყოს ქალებისათვის. ეს ინფორმაცია უნდა მომზადდეს ადგილობრივ ენაზე ან სხვა ენებზე, რომელზეც საუბრობენ ქვეყანაში მცხოვრები ქალები. ინფორმაცია, ასევე, ხელმისაწვდომი უნდა იყოს ვიზუალური ან სხვა სახის შეზღუდვის მქონე ადამიანებისათვის (მაგ. ბრაილის შრიფტით).

- ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებში მოსამართლე ვალდებულია, მსხვერპლს განუმარტოს სასჯელის დანიშვნის, თავისუფლების აღკვეთის შეფარდების და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილების მნიშვნელობა (მაგალითად, მოძალადის ადრე ან დროებით გათავისუფლება ან გაქცევა), იმ შემთხვევაში, თუ მსხვერპლს ან მისი ოჯახის წევრებს, სავარაუდოდ, საფრთხე ემუქრებათ.

ურთიერთობა მოწმეებთან და მხარეებთან

ქალები, როგორც ძალადობის მსხვერპლები

- ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევა ხშირად პირად სფეროში ხდება და მსხვერპლზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. სპეციალისტები უნდა აცნობიერებდნენ, თუ როგორ განსხვავდება ეს შემთხვევები ძალადობის სხვა შემთხვევებისგან, როგორია ქალთა მიმართ ძალადობის ბუნება და რა გავლენა აქვს მას მსხვერპლებზე, მათ შვილებსა და ოჯახებზე.
- მსხვერპლის მიმართ გამოხატეთ ემპათია და განუმარტეთ, რომ მოხდება ზომების მიღება იმისათვის, რომ მაქსიმალურად შემცირდეს მისი ტრავმა, თავიდან იქნას აცილებული პროცესის გაჭიანურება და მისი უსაფრთხოება უზრუნველყოფილი იქნას.
- თავი შეიკავეთ მოწმის **სანდოობის** შეფასებისგან იმის საფუძველზე, თუ რამდენად ემოციურად გამოხატავს სათქმელს ჩვენების მიცემის პროცესში. დაიმახსოვრეთ, რომ სხვადასხვა მსხვერპლს განსხვავებული რეაქცია აქვს საგამოძიებო და სამართლებრივი პროცესების მიმართ.

ძალადობის მოწმე ბავშვები

- ის, რომ ბავშვს არ აღენიშნება მოძალადის მიერ მიყენებული პირდაპირი ფიზიკური ზიანი არ ნიშნავს იმას, რომ ბავშვი არ არის მსხვერპლი და მას მომავალში ძალადობის საფრთხე არ ემუქრება. საფრთხის ყველაზე მაღალი დონე ჩნდება მაშინ, როდესაც ეს საქმეები სამართლებრივ სისტემაში ხვდება, რადგან მოძალადემ ამ დროს შესაძლოა **გაამძაფროს ძალადობა,** ან ძალადობა მიმართოს ბავშვებისკენ.
- სიფრთხილით დაბალანსეთ ძალადობის რისკები ბავშვის საუკეთესო ინტერესებსა და ორივე მშობლის უფლებებთან.

ქალები და დისკრიმინაცია მრავალი ნიშნის მიხედვით

- განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ ურთიერთობენ მოსამართლეები და პროკურორები

ქალებთან, რომლებიც მრავალი ნიშნით/ინტერსექციულ დისკრიმინაციას დაქვემდებარებულ ჯგუფებს განეკუთვნებიან, რადგან ქალების გამოცდილება ერთმანეთისგან განსხვავდება. მაგალითად, ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ეთნიკური წარმომავლობა, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი (მათ შორის, მარტოხელა დედის სტატუსი), შორეულ ადგილას/სოფლად ცხოვრება, სექსუალური ორიენტაცია, შეზღუდული შესაძლებლობა, ლტოლვილის სტატუსი, თავშესაფრის მაძიებლის ან იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსი, და ასაკი გავლენას ახდენს ქალების გამოცდილებებზე და შესაძლოა ისინი განსაკუთრებით მოწყველად მდგომარეობაში ჩააყენოს.

- გახსოვდეთ, რომ ქალები, რომელთაც უმცირესობის სტატუსი აქვთ, ხშირად დამატებით დაბრკოლებებს აწყდებიან მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის კუთხით, ისეთი ფაქტორების გამო, როგორიცაა ფიზიკური ან გეოგრაფიული იზოლაცია მხარდაჭერის სამსახურების, იურიდიული დახმარების, სამართალდამცავი ორგანოების და სასამართლოებისგან; კულტურული და ენობრივი ბარიერები; "საჯაროდ გაცხადების" და მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგების შიში (იმიგრანტი სტატუსის მქონე ქალებისთვის ეს ნიშნავს დეპორტის შიშს; ლესბოსელი, ბისექსუალი ან ტრანსგენდერი ქალებისთვის - სექსუალური ორიენტაციის საჯაროდ გაცხადებისა და შესაძლო დისკრიმინაციის ან რეპრესალიის შიშს).
- არ დაეყრდნოთ და გაავრცელოთ სტერეოტიპები ქალთა კონკრეტული ან უმცირესობის ჯგუფების შესახებ (მაგ. "ოჯახში ძალადობა ბოშათა კულტურის შემადგენელი ნაწილია"), განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ეს მითი გენდერის ნიშნით ძალადობას ამართლებს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი საზიანო პრაქტიკის შემთხვევაში, როგორიცაა ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება.
- უმცირესობის წარმომადგენელი ქალების სპეციფიური მდგომარეობა და მათ შორის, კულტურული წარმომავლობა არ უნდა ამართლებდეს ადამიანის უფლებების დარღვევას კულტურის ან ტრადიციის საფუძველზე.

გენდერული მიკერძოება სამართალწარმოების პროცესში

ხშირად ქალები განიცდიან გენდერულ მიკერძოებასა და უთანასწორობას სამართალწარმოების პროცესში. ეს მიკერძოება ფართოდ გავრცელებული სტერეოტიპების შედეგია, რომელიც, როგორც წესი, ქვეცნობიერად მოქმედებს. გენდერულ მიკერძოებას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ქალების კარგად არ ესმით ან მათ ადეკვატურად არ ითვალისწინებენ. ქვემოთ წარმოდგენილია მიკერძოების პოტენციური მაგალითები, რომელიც უკავშირდება პროცესის მხარეებთან ურთიერთობას, მოსამართლეთა ქცევასა და არგუმენტირებას.

- არასათანადო ფრაზების გამოყენება (მაგალითად, ქალებს მიმართავენ როგორც "გოგონებს", ხოლო მამაკაცებს, როგორც "კაცებს", ან ქალებს მიმართავენ შემდეგნაირად: "ძვირფასო", "საყვარელო", "ახალგაზრდა ქალბატონო" და ა.შ. გამომრიცხავი და გენდერულად სპეციფიური ენის გამოყენება - მაგალითად "chairman") (თარჯიმნის შენიშვნა - "chairman" ინგლისურად მამაკაც თავმჯდომარეს აღნიშნავს).
- ქალის შეფასება იმის მიხედვით, თუ როგორ მოიქცეოდა მამაკაცი ან რას იგრძნობდა იგი კონკრეტულ სიტუაციაში.
- ქალის შეფასება იმის მიხედვით, თუ როგორ უნდა მოიქცეს "ნორმალური" ქალი.
- გენდერის ნიშნით მოტივირებული ძალადობის შესახებ ცნობიერების ნაკლებობა - მაგალითად, ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ძალადობის ციკლი ოჯახში ან სექსუალური ძალადობის კონტექსტში და მისი გავლენა მსხვერპლზე.
- ცნობიერების ნაკლებობა შინ გაწეული სამუშაოსა და ბავშვზე ზრუნვის მნიშვნელობის შესახებ.
- ქალებსა და მამაკაცებს შორის არსებული სტატისტიკური განსხვავებების უგულებელყოფა, ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა შემოსავლის დონე, შინ გაწეული სამუშაო და ბავშვზე ზრუნვა.

ექსპერტთა როლი და "სასამართლოს მეგობარი" (amicus curiae)

- ექსპერტებს, რომელთაც სპეციალიზირებული ცოდნა გააჩნიათ, შეუძლიათ, რომ სასამართლოს დაეხმარონ გაუპატიურების ტრავმის სინდრომის, პოსტ-ტრავმული სტრესის აშლილობის, მსხვერპლის მიერ განცდილი ძალადობის ციკლის ან ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრაში.
- ექსპერტის ჩვენება, შესაძლოა, ასევე ეფექტური აღმოჩნდეს ფართოდ გავრცელებული გენდერული სტერეოტიპების დასანგრევად - მაგალითად, მითები იმის შესახებ, თუ როგორ იქცევა გაუპატიურების "ტიპური" მსხვერპლი.
- მოსამართლეებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ჩვენების ფარგლებს, რათა ექსპერტი ჩვენების მიცემისას მხოლოდ მისი კომპეტენციის სფეროთი შემოიფარგლოს. მოსამართლემ, ასევე, უნდა უზრუნველყოს რომ ექსპერტის ჩვენება არ ასახავდეს მიკერძოებას ან ამყარებდეს გენდერულ სტერეოტიპებს, არამედ, ჩვენება უნდა ასახავდეს ქალების ინტერესებსა და პრობლემებს. ზოგიერთ იურისდიქციაში, მოსამართლეს უფლება აქვს აღნიშნულის უზრუნველსაყოფად დანიშნოს ექსპერტი.
- სასამართლოს მეგობრის (amocus curiae) მიერ წარდგენილი ინფორმაცია განსხვავდება ექსპერტის ჩვენებისგან და როგორც წესი, გამოიყენება კონკრეტულ თემაზე კანონმდებლობის ან პრეცედენტული სამართლის ნათლად განმარტების მიზნით (ამავდროულად, სასამართლოს მეგობარს უფლება აქვს, წარმოადგინოს ფაქტობრივი ან მეცნიერული ინფორმაცია). სასამართლოს მეგობრის მოსაზრებების წარდგენა ხდება ფიზიკური პირების ან ორგანიზაციების მიერ, რომლებიც მხარეებს არ წარმოადგენენ, მაგრამ საქმისათვის რელევანტური შენიშვნები გააჩნიათ. სასამართლოს მეგობრის მოსაზრების მიზანია სასამართლოსათვის დახმარების გაწევა. ამავდროულად, ეს მოსაზრება საქმის არსებით გარემოებებს არ უნდა ეხებოდეს.

დავების ალტერნატიული გადაწყვეტა

დავების ალტერნატიული გადაწყვეტა (ADR) გულისხმობს მექანიზმთა ფართო სპექტრს, რომელიც ანაცვლებს მთლიან სასამართლო პროცესს -ისეთს, როგორიცაა არბიტრაჟი, მედიაცია და მოლაპარაკების პროცესი. დავების ალტერნატიული გადაწყვეტა, შესაძლოა, იყოს ნებაყოფლობითი ან სავალდებულო და პროცესის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებას შესაძლოა გააჩნდეს ან არ გააჩნდეს შესასრულებლად სავალდებულო ძალა. დავების ალტერნატიული გადაწყვეტა სასარგებლოა გარკვეულ შემთხვევებში, თუმცა, გენდერის ექსპერტების მოსაზრებით, მართლმსაჯულებაზე ქალების ხელმისაწვდომობის კონტექსტში ADR-ის გამოყენება სიფრთხილით უნდა მოხდეს. სტამბოლის კონვენცია, ასევე, შეიცავს მკაფიო აკრძალვას **დავების გადაწყვეტის სავალდებულო ალტერნატიულ პროცესთან დაკავშირებით**, მედიაციისა და მორიგების ჩათვლით, ისეთი საქმეების განხილვისა და სასჯელის დანიშვნის შემთხვევებში, რომელიც შეეხება კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ფორმას (მუხლი 48).

ADR -ის გამოყენება ოჯახში ძალადობის შემთხვევებში ეფუძნება არასწორ წარმოდგენას იმის თაობაზე, რომ მოძალადესა და მსხვერპლს თანაბრად მიუძღვის ბრალი ძალადობაში, ხოლო პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა, რომ ორივემ შეარბილოს საკუთარი ქცევა. აღნიშნული მიდგომა დანაშაულის სიმძიმეს აკნინებს და ეწინააღმდეგება კანონის უზენაესობასა და ქალების კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპს, რადგან მას მართლმსაჯულების ძირითადი სისტემის მოქმედების სფეროდან გაყავს ისეთი მძიმე დანაშაული, როგორიცაა ქალთა მიმართ ძალადობა.[8]

მედიაცია ხშირად გამოიყენება საოჯახო სამართალსა და განქორწინების საქმეებში, როგორიცაა დავები ქონების გაყოფასთან, ბავშვის მეურვეობასთან და მონახულებასთან დაკავშირებით. სასამართლოებმა უნდა შეიმუშაონ სპეციალური პროცედურები, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება, არსებობს

8 მართლმსაჯულებაზე ქალების ხელმისაწვდომობა გენდერის ნიშნით მოტივირებულ ძალადობის შემთხვევებთან დაკავშირებით, სამართლის სპეციალისტთა სახელმძღვანელო No. 12, იურისტთა საერთაშორისო კომისია, გვ.138.

თუ არა ოჯახში ძალადობის ისტორია, მანამ, სანამ მოხდება ოჯახური დავის გადამისამართება მედიაციის ცენტრში. სასამართლოს პერსონალმა და მედიატორებმა მომზადება უნდა გაიარონ იმის შესახებ, თუ როგორ განახორციელებენ კონკრეტული შემთხვევის შეფასებას აღნიშნული პროცედურების გამოყენებით და უზრუნველყონ კონფიდენციალობის დაცვა.

ბიბლიოგრაფია

Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence (Istanbul Convention), and the Group of Experts against Violence against Women and Domestic Violence
http://www.coe.int/en/web/istanbul-convention/home

European Court of Human Rights, Press Service, Thematic Factsheets on the Case-law of the Court, including on gender equality, domestic violence, violence against women, reproductive rights, trafficking in human beings, work-related rights, among others:
http://www.echr.coe.int/Pages/home.aspx?p=press/factsheets

Gender equality and women's rights – Council of Europe standards (2016):
https://edoc.coe.int/en/gender-equality/6930-gender-equality-and-women-s-rights-council-of-europe-standards

A feasibility study on Equal Access to Women to Justice (2013):

https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=0900001680597b1e

Compilation of good practices from member states to reduce existing obstacles and facilitate women's access to justice (2015):
https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=0900001680597b12

National studies on barriers, remedies and good practices for women's access to justice in five Eastern Partnership countries (2016):
https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=09000016806b0f41

Essential Services Package for Women and Girls Subject to Violence/ Module 3: Justice and Policing Essential Services (UN Women, UNFPA, WHO, UNDP and UNODC, 2015)
http://www.unwomen.org/en/digital-library/publications/2015/12/essential-services-package-for-women-and-girls-subject-to-violence

Guidance on the Istanbul Convention, Council of Europe:
http://www.coe.int/en/web/istanbul-convention/publications

Improving the Effectiveness of Law Enforcement and Justice Officers in Combating Violence against Women and Domestic Violence: Training of Trainers Manual (Council of Europe, 2016)
https://rm.coe.int/16806acdfd

Preventing and Combating Domestic Violence against Women: A learning resource for training law enforcement and justice officers (Council of Europe, 2016)
https://rm.coe.int/16805970c1

Handbook on Effective Prosecution Responses to Violence against Women and Girls (UNODC, UN Women, 2014)
http://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/14–02565_Ebook_new.pdf

Handbook for Legislation on Violence against Women (UN Women, 2012)
http://www.un.org/womenwatch/daw/vaw/v-handbook.htm

Sexual Violence against Women: Eradicating Harmful Gender Stereotypes and Assumptions in Laws and Practice (International Commission of Jurists, 2015):
https://www.icj.org/icj-addresses-harmful-gender-stereotypes-and-assumptions/

Women's Access to Justice for Gender-Based Violence: A Practitioners' Guide (International Commission of Jurists, 2016)
https://www.icj.org/wp-content/uploads/2016/03/Universal-Womens-accesss-to-justice-Publications-Practitioners-Guide-Series-2016-ENG.pdf

Lilla Farkas, How to Present a Discrimination Claim: Handbook on seeking remedies under the EU Non-discrimination Directives, (European Commission, 2011)

Gopalan, Kravetz and Menon, "Proving Crimes of Sexual Violence" in Serge Brammertz and Michelle Jarvis (eds), Prosecuting Conflict-Related Sexual Violence at the ICTY (OUP, 2016),

Marianne Hester and Sarah-Jane Lilley, Domestic and Sexual Violence Perpetrator Programmes: Article 16 of the Istanbul Convention, (Council of Europe,2014)

Ashley E. Lowe and Nina Dodge Abrams, Should We Mediate in Cases Involving Domestic Violence? Oakland County Bar Association, November (2011)

Judicial College, Equal Treatment Bench Book. London (2013)

Department of the Attorney General Western Australia, Equality Before the Law Bench Book. Section 7-Women. First edition. Perth (2009)

Laura Van den Eynde, An Empirical Look at the Amicus Curiae Process of Human Rights NGOs before the European Court of Human Rights. Netherlands Quarterly of Human Rights. Vol. 31/3. p. 274. (2013)

Council of Europe Gender Equality Strategy 2014–2017, Strategic Objective 3: Guaranteeing Equal Access of Women to Justice

Council of Europe Gender Equality Commission, Compilation of good practices to reduce existing obstacles and facilitate women's access to justice (2015)

Carmen de la Fuente Mendez, Special Courts and Special Prosecutor's Offices Examining Cases of Violence Against Women in Spain- Ten Years of Experience: Barriers, Remedies and Good Practices for Women's Access to Justice, presentation at the regional conference Strengthening judicial Capacity to Improve Women's Access to Justice, 24–25 October, Chisinau, Republic of Moldova (2016)

GEO

ევროპის საბჭო კონტინენტის წამყვან ადამიანის უფლებათა ორგანიზაციას წარმოადგენს. მასში გაწევრიანებულია 47 წევრი სახელმწიფო, რომელთაგან 28 ევროკავშირის წევრია. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, ხელშეკრულებას, რომელიც შემუშავებულ იქნას ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვისთვის. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პასუხისმგებელია წევრი სახელმწიფოების მიერ კონვენციის განხორციელების ზედამხედველობაზე.:

www.coe.int

ევროკავშირი წარმადგენს უნიკალურ ეკონომიკურ და პოლიტიკურ პარტნიორობას ევროპის 28 დემოკრატიულ ქვეყანას შორის. მისი მიზანია მშვიდობის, კეთილდღეობისა და თავისუფლების უზრუნველყოფა მისი 500 მილიონი მოქალაქისათვის და უფრო სამართლიანი და უსაფრთხო მსოფლიოს დამკვიდრება. ამისათვის, ევროკავშირის ქვეყნებმა შექმნეს ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ევროკავშირის მართვასა და კანონმდებლობის მიღებაზე. ძირითადი ორგანოებია ევროპის პარლამენტი (წარმოადგენს ევროპის ხალხს), ევროპის საბჭო (წარმოადგენს ეროვნულ მთავრობებს) და ევროპული კომისია (წარმოადგენს ევროკავშირის საერთო ინტერესებს)

http://europa.eu

ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE
ევროპის საბჭო